

F 559
5



175
5

349-4 + 347 235-1



1. მიწის საკუთრება
2. სახელმწიფო

კანონ-პროექტი

სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მამულების მცხოვრებთათვის კერძო საკუთრებათ მიცემისა.

175-5

175

- სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის მამულები მიეცემა სოფლის მცხოვრებთ კერძო საკუთრებათ გარდა იმ გამონაკლისა, რომელიც ამ კანონის შემდეგს (2) მუხლშია მოხსენებული.
- გარდა იმ მიწებისა, რომელიც ამიერ-კავკასიის კომისარიატის 16 დეკემბრის დეკრეტის მე-5-ე მუხლში და ამიერ-კავკასიის სეიმის 2 მაისის 1918 წლის კანონშია ჩამოთვლილი, არ განაწილდება მცხოვრებთა შორის აგრეთვე ის მიწებიც, რომელიც მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებით გადასასახლებლათ და დასასახლებლათ იქნება დანიშნული.
- მიწა მიეცემა საკუთრებათ იმ უმიწაწყლო და მცირედი მიწის მქონე სოფელთ, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომა.

შენიშვნა. მიწის საკუთრებათ მიღების უფლება არ ეკარგებათ, უკეთუ ამ (3) მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, მცხოვრებთ იმ ქალაქებისა, რომელნიც 1917 წლის 1 მარტს შემდეგ იქნენ ქალაქებათ გამოცხადებული.
- უკეთუ რამდენიმე პირი, რომელთაც უფლება აქვთ ცალ-ცალკე ნორმის მიღებისა, წერილობით განაცხადებენ, რომ მათ სურთ საზოგადო საკუთრებათ შეიძინონ მათი ხვედრი მიწები, ასეთი მათი თხოვნა დაკმაყოფილებულ უნდა იქნას.
- აგრეთვე უნდა იქნას დაკმაყოფილებული სურვილი იმ სოფლის საზოგადოებისა, ან და სოფლისა, რომელიც საზოგადო საკუთრებათ მოითხოვს მისი მცხოვრებლების ხვედრ მიწას, უკეთუ ასეთი თხოვნა დადსტურებული იქნება განაჩენით, რომელიც დადგენილი იქნება სრულწლოვან მცხოვრებთა ხმების ორი მესამედით. ამავე დროს აღნიშნულმა სოფლის საზოგადოებამ, ან და სოფელმა უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლათ ადგილობრივ საერობო გამგეობას, ხოლო სადაც ასეთი ჯერ კიდევ არ არის, — საადგილ-მამულო გამგეობას განაჩენი, თუ რა წესით უნდა ისარგებლონ სოფელელებმა აღნიშნულ მიწებით.
- საძოვარი (ВЫГОННЫЕ) ადგილები სოფლის საზოგადოებას ან და სოფელს გადაეცემა საკუთრებათ.
- მიწა გადაეცემა სოფლის მცხოვრებთ საკომლოთ იმდენი, რომ მიცემული მიწა კომლის უძრავ ქონებასთან ერთად არ აღემატებოდეს იმ ნორმას, რომელიც მიწების კონფისკაციის დროს იქნა დაწესებული კერძო მფლობელთათვის ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 7 მარტის კანონის მე-2-ე მუხლით. ამ ფარგლებში მიწები ისე უნდა იქნას განაწილებული, რომ უპირატესობა მიეცეს ოჯახს, რომელსაც საკუთარი შრომით დაუმუშავებია ეს მიწა, თანაც ყურადღება უნდა მიექცეს ოჯახის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

შენიშვნა. უკეთუ საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობა აღძრავს უშუამდგომლობას, მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება ეძლევა კერძო შემთხვევებში ამ კანონის მე-7-ე მუხლში მოხსენებული ნორმა შესცვალოს.
- აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გატარება ამ კანონის საფუძველზე ევალება მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომლის ადგილობრივ ორგანოებს ამ საქმეში შეადგენენ: ა) სამაზრო საერობო გამგეობა, რომელზედაც გადადის სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობათა უფლებანი და მოვალეობანი, ბ) სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა იმ ადგილებში, სადაც საერობო გამგეობა ჯერ კიდევ არ არის არჩეული და გ) სარაიონო კომისიები.
- მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით ყოველი მაზრა იყოფა სააგრარო რაიონებათ. თითოეულ რაიონში დგება სარაიონო კომისია, რომელსაც ირჩევს სარაიონო თათბირი 3—5 პირისაგან. სარაიონო თათბირს, რომელიც შესდგება სათანადო რაიონის საერობო ხმოსნებისა და სოფლების ორ-ორი წარმომადგენლისაგან, იწვევს სამაზრო საერობო გამგეობა, რომლის ერთ-ერთი წევრიც გასწევს თავმჯდომარეობას. იმ მაზრებში, სადაც საერობო ხმოსნები კიდევ არ არიან არჩეული, სარაიონო თათბირი დგება ზემოთ აღნიშნულ სოფლის წარმომადგენელთაგან და საადგილ-მამულო გამგეობის მიერ დანიშნულ იმდენ წევრებისა, რამდენიც საერობო ხმოსანია დაწესებული ამ რაიონისთვის. ასეთ მაზრებში სარაიონო თათბირს იწვევს სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა, რომლის წევრიც გასწევს თავმჯდომარეობას.

შენიშვნა. თითოეულ სარაიონო კომისიას ყავს მდივანი და მიწის მზომელი, რომელთაც ნიშნავს მიწათ-მოქმედების მინისტრი განსაზღვრულ ჯამაგირით.
- საქართველოს საადგილ-მამულო ფონდს, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთ უნდა მიეცეს, მიწათ-მოქმედების მინისტრი ანაწილებს მაზრების შორის, ხოლო მაზრებში რაიონებს შორის. რაიონისთვის დანიშნული ფონდი ნაწილდება სარაიონო კომისიის მიერ სოფლის საზოგადოებათა, სოფელთა და კერძო პირთა შორის, რომელთაც ამ კანონით მიწა ერგებათ.
- იმ პირმა, რომელსაც მიწის მიღების უფლება აქვს, თავისი სურვილი უნდა განუცხადოს სა-

1122 (2-00) 15-11



რაიონო კომისიას, რომელსაც უნდა წარუდგინოს აგრეთვე ცნობები, თუ რამდენი და რა სახის მიწა აქვს მას. ის პირი, რომელიც განზრახ ყალბ ცნობებს წარადგენს თავის უძრავ ქონების შესახებ, დასჯილ იქნება ციხეში დაპატიმრებით ერთი თვიდან ერთ წლამდე, მიწის მიღების უფლების წართმევით, ხოლო თუ ამ გზით მიღებას მოასწრებს, მიღებული მიწა ჩამოერთმევა სახელმწიფოს სასარგებლოთ.

12. სარაიონო კომისიას ევალება შეამოწმოს, თუ რამდენი საკუთარი მიწა აქვთ იმ პირთ, რომელნიც ფონდიდან ითხოვენ მამულს, გამოარკვიოს რაოდენობა იმ პირთა, რომელთაც მიწა ერგებათ და აღნიშნულ რაიონში ფონდის სივრცისა და მიწაზე მოთხოვნილების მიხედვით მოახდინოს მისი განაწილება კანონის 3—7 მუხლების თანახმად.

13. სარაიონო კომისიას ნება აქვს სათანადო რაიონის ფარგლებში მოაწილოს კომისიები სოფლის საზოგადოებებში და სოფლებში 3—5 პირისაგან, რომელთაც ამოირჩევენ სოფლის საზოგადოებები და სოფლები კუთვნილებისამებრ. თითოეულ სოფლის საზოგადოების კომისია წარუდგენს სარაიონო კომისიას თავის მოსახრებებს იმის შესახებ, თუ როგორის წესით უნდა განაწილდეს სოფლის საზოგადოებისათვის დანიშნული ფონდი სოფლებს შორის, ხოლო ცალკე სოფლის კომისია—სოფლის მცხოვრებთა შორის.

14. სარაიონო კომისია, გამოარკვევს რა, თუ რამდენი მიწა უნდა მიეცეს ამა თუ იმ სოფლის საზოგადოებას ან სოფელს საზოგადო საკუთრებათ, ხოლო კერძო პირს კერძო საკუთრებათ, შეადგენს ამის შესახებ მიცემის აქტს კომისიის ყველა წევრის ხელის მოწერით და როცა სოფლის საზოგადოება ან სოფელი და კერძო პირი წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინის კვიტანციას ხვედრი ფულის შეტანის შესახებ, გაუგზავნის აქტს დასამტკიცებლათ სამაზრო საერობო გამგეობას, ხოლო სადაც ასეთი არ არსებობს—სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობას.

შენიშვნა. მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება ეძლევა თითოეულ კერძო შემთხვევაში ორ წლამდე გაუდიდოს მყიდველს სიღარიბის გამო ხვედრი ფულის გადახდის ვადა, უკეთუ ამის შესახებ შუამდგომლობას აღძრავს საერობო ან და საადგილ მამულო გამგეობა.

15. დაინტერესებულ სოფლის საზოგადოებას, სოფელს თუ კერძო პირს შეუძლიან სარაიონო კომისიის განკარგულება გაასაჩივროს სამაზრო საერობო გამგეობაში, ხოლო სადაც ასეთი არ არის—სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობაში ერთი კვირის განმავლობაში დღიდან კომისიის მიერ დადგენილების გამოცხადებისა. საჩივარი წარედგინება თითონ სარაიონო კომისიას, რომელიც თავის განმარტებით გადასცემს მას საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობას არა უგვიანეს სამი დღისა საჩივრის მიღებიდან.

16. სამაზრო საერობო ან საადგილ მამულო გამგეობა მოისმენს დაინტერესებულ მხარეთა განმარტებებს, უკეთუ ისინი გამოცხადდებიან და გამოიტანს განაჩენს და შემდეგ ან უცვლელათ დაამტკიცებს სარაიონო კომისიის მიერ წარმოდგენილ აქტს მიწის მიცემისა, ან შეიტანს მასში თავის ცვლილებებს და ან სარაიონო კომისიას მოსთხოვს ახალ აქტის შედგენას. გამგეობის მიერ დამტკიცებულ აქტს აქვს ძალა ნაყიდობის სიგელისა (купчей крѣпости). მისი პირი ეძლევა სოფლის საზოგადოებას, სოფელს ან კერძო მყიდველს, ხოლო მეორე პირი წარედგინება უფროსს ნატარიუსს სიგელთა რეესტრში აღსანიშნავათ.

17. მცხოვრებთა შორის გასანაწილებელი მიწა გაიყიდება იმათზე, ვისაც მიწის მიღების უფლება აქვს, რათა ამ გზით დაფარულ იქნას ხარჯები, რომელიც სახელმწიფოს დაეკისრება საადგილ-მამულო ბანკების ვალების თავის თავზე გადატანით, მიწების გაშრობის და მორწყვის, გადასახლების და დასახლების, აგრარულ რეფორმის განხორციელების და მასთან შეკავშირებულ აუცილებელ საჭიროებათა დაკმაყოფილების გამო და აგრეთვე ცალკე ფონდის დაარსებით, რომელიც საჭირო იქნება აუცილებელ სასოფლო სამეურნეო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მიწათ-მოქმედების მინისტრი აწესებს თითოეულ რაიონისათვის საშუალო ფასს დესეტინაზე ოთხასიდან ათას მანეთამდე. საშუალო ფასის მიხედვით გამოიანგარიშება საერთო ჯამი, რომელიც რაიონზე მოვა. ამ საერთო ჯამთან შეფარდებით სარაიონო კომისია აწესებს მიწების ფასს მათი ღირების მიხედვით. მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება ეძლევა ორას მანეთამდე შეამციროს საძოვარ ადგილებისათვის საშუალო ფასი დესეტინაზე.

შენიშვნა. ქალაქის ახლო მდებარე მიწები, აგრეთვე ვენახები და მოშენებული ადგილები გაიყიდება საბაზრო ფასებში.

18. ყველა დაწესებულებებმა და თანამდებობის პირებმა დახმარება უნდა გაუწიონ აგრარულ რეფორმის სისრულეში მომყვან ორგანოებს, ხოლო დაინტერესებულმა სოფლის საზოგადოებებმა, სოფლებმა და კერძო პირებმა უნდა გადასცენ ამ ორგანოების განკარგულებაში გადასაზიდი საშუალებანი, მუშები, იარაღები და მასალები ყოველგვარ სამუშაოებისათვის და სამიჯნო ნიშნების აღსამართავათ.

19. ამ კანონით შეძენილ მიწების გადაცემის ყოველგვარ შემთხვევაში სამაზრო ერობას ეძლევა უპირატესობა შეიძინოს ეს მიწა გადახდილ ფასზე იმ ხარჯების დამატებით, რომელიც სახელმწიფო ფონდიდან შეიძენს მოუვიდა მამულის გასაუმჯობესებლათ დღიდან შეძენისა. ამიტომ არც ერთი აქტი ამ მიწების გადაცემისა არ შეიძლება შესრულებულ იქნას, უკეთუ წარდგენილი არ იქნება საბუთი ერობის მხრით ამ უფლებაზე უარის თქმისა. ამ მოთხოვნას არ ექვემდებარება ის შემთხვევა, როცა რომელიმე პირი სახელმწიფოსაგან შეძენილ მიწას საჩუქრათ გადასცემს თავის ოჯახის წევრებს.

20. ამ კანონის განსამარტებლათ მიწათ-მოქმედების მინისტრს ნება ეძლევა გამოსცეს ინსტრუქციები.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბანკარტებითი წერილი.

შეხვალი. როგორც რუსეთში, ისე ჩვენში გლეხთა განთავისუფლება ძლიერ ცუდ პირობებში მოხ-
და. მე-60 წლების „დიდმა რეფორმამ“ როგორც მას ჩვეულებრივად უწოდებენ, ვერ გაა-
მართლა მოლოდინი, ვინაიდან მან ხელუხლებლად დასტოვა მრავალი ინსტიტუტი, რომელიც აღ-
მოცენდა და განვითარდა ბატონყმურ ურთიერთობის ნიადაგზე და ახასიათებდა მხოლოდ ამ ურ-
თიერთობას. მასთან, გლეხს ან სულ არ მისცეს მიწა, ან ისე მცირე მამული არგუნეს, რომ ის
იძულებული იყო ისევ ძველ ბატონს მიბრუნებოდა და მეტად მძიმე პირობებში დაემუშავებია უკა-
ნასკნელის მიწა-წყალი. მოისპო პირადი დამოკიდებულება, მარა გაძლიერდა დამოკიდებულება ეკო-
ნომიური ამიტომ გასაკვირალი არაა, თუ მე-60 წლების რეფორმას იმ თავითვე დაჰყვა საერთო უკ-
მაყოფილება.

რუსეთის პროგრესიული საზოგადოება მოითხოვდა დაწყებული რეფორმის განვითარებას
და დასრულებას. პირველ ნაბიჯს უნდა მოყოლოდა შემდეგი ღონისძიებანი. მარა ჩვენ მოწავე შე-
ვიქენით სულ წინააღმდეგის. მე-80-90 წლებში გამეფდა საშინელი რეაქცია. ახალ რეფორმებზე
არავინ ფიქრობდა. პირიქით, შეუდგნენ უკვე შემოღებული რეფორმების შეკვეცას და გაუქმებას.

ყველაფერი დაუმორჩილეს მემამულეთა მცირე ჯგუფის ინტერესებს. სასოფლო მეურნეობა იმდე-
ნათ დაეცა, რომ ბიუროკრატიულ წრეებშიაც კი აღიარეს ე. წ. „ცენტრის ვალტაკება“. ცხადია,
ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო ქვეყნის ნორმალური, ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება.
საზოგადოებაში დაგროვდა დიდი ასაფეთქებელი მასალა. დაგუბებულმა უკმაყოფილებამ გამო-
სავალი ჰპოვა პირველათ 1905, ხოლო შემდეგ 1917 წლის რევოლუციებში. და პირველი ამოძახი-
ლი, ყველაზე უფრო მძლავრი ხმა, რომელიც ამ ხანებში გაისმა—ეს იყო ბატონყმური ნაშთების
გაუქმება და მემამულეთა მიწების ჩამორთმევა.

ჩვენში ეს გამოძახილი გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვინემ რუსეთის რომელიმე
გლეხთა განთავისუფლება სხვა ადგილას. ეს ადგილი ასახსნელიცაა. საქართველოში გლეხთა განთავისუფლებას თან
სუფლება დაჰყვა ყველა ის ცუდი მხარეები, რომელიც ასე ახასიათებს მე-60 წლების რეფორმას და
ჩვენში გარდა ამისა მას ზედ დაერთო მრავალი ახალი ნაკლი. რუსეთში გლეხი განთავისუფლეს
რა პირადი დამოკიდებულებისაგან, მთავრობამ შეაყიდვია მას ნაწილი მემამულეთა მიწა-წყ-
ლისა. საქართველოში კი ეს ასე არ მოხდა. გარდა მცირედი გამოწაკლისისა, აქ გლეხები და „პო-
სელიანები“ ჩარიცხულ იქნენ დროებით ვალდებულათ. მართალია, პირველათ ფიქრობდნენ მემამულე-
თა მიწების იძულებით გამოყიდვას ხაზინის დახმარებით და გლეხებზე გადაცემას, მარა შემდეგ ეს გან-
ზრახვა დავიწყებას მიეცა და დროებით ვალდებულობის გაუქმების შესახებ საკითხი დღიურ წესრიგში და-
ისვა, მხოლოდ 1905 წლის რევოლუციის მიერ. მთელი 48 წელიწადი ატარებდა მძიმე უღელს ჩვენი
გლეხობა ამ ბატონყმობის უდიდესი ნაშთისას. ნადელის გამოყიდვა მას შეეძლო მხოლოდ იმ შემთ-
ხვევაში, თუ ამას ემამულე დასთანხმდებოდა. მებატონე კი ამის თანხმობას არც ისე ადვილათ იძლე-
ოდა.

ბატონყმობის გაუქმების წინ თბილისის გუბერნიაში ორთა შუა რიცხვით თითო კომლი გლეხი
ფლობდა თითქმის 6 დესეტინამდე მიწას. განთავისუფლების შემდეგ ამ მიწების 34. 2% გლეხებს
ჩამოუტრეს და მემამულეებს მიაკუთვნეს. ქუთაისის გუბერნიაში კიდევ უარესი ამბავი დატრიალდა.
მაშასადამე, „განთავისუფლებასთან“ ერთად გლეხმა დაჰკარგა თავისი ოფლით გაპოხიერებული მამუ-
ლის კარგა მოზრდილი ნაწილი.

მარა ეს კიდევ ცრტაა. გლეხს ჩამოუტრეს ყველაზე უკეთესი და ნოყიერი ნაწილები, ჩამოუტ-
რეს ისე უხერხულად, რომ თავისი ნადელით სარგებლობაც კი არ შეეძლო თავისუფლათ. ეს ჩამო-
ნატრები დღესაც გაფანტულია გლეხთა სამფლობელო მიწებს შუა და მიზეზი იყო დაუსრულებელი და-
ვის, შეხლა-შემოხლის, მემამულეთა მტრე ძალმობრეობის, სასამართლოში საჩივრების აღძვრის და
სხვა მსგავსი მოვლენების, რომელიც საშინლათ აფერხებს ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას. აი,
დღესაც მამულეების ჩამორთმევე კომისიების წინაშე გადაიწვია საკვირველი სურათი: სოფლათ არ
აღმოჩნდა მებატონეთა ისეთი მამული, რომელიც მრავალ ნატრათ არ იყოს დაყოფილი და დიდ მან-
ძილზე გაფანტული გლეხს დღესაც არ შეუძლია ფეხი მოიცვალოს ისე, რომ მემამულის მიწაზე არ
გაიაროს. თავის თავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში ვერ გაჩნდებოდა გლეხის რაციონალური სა-
სოფლო მეურნეობა.

ამასთან არ უნდა დაგვაფიწყდეს ის გარემოება, რომ მებატონეთა ერთი ნაწილი კანონით ვალდე-
ბული არ იყო გლეხებისათვის „ნადელები“ მიეცა. ასეთი უფლება არგუნეს თფილისის გუბერნიაში
იმათ, ვინც 30 დესეტინაზე ნაკლებს ფლობდა, ხოლო ქუთაისისაში—ვისაც 30 ქვევაზე ნაკლები
ჰქოდა. ასე რომ ჩვენში ბატონყმობის გაუქმება გახდა მიზეზი უმიწა-წყლო გლეხკაცობის გაჩენისა.

ამით შესაფერათ ისარგებლეს მემამულეებმა და ღალა გაუდიდეს გლეხკაცობას. ბატონყმობის დროს
გლეხი მიწის სარგებლობისთვის იხდიდა მოსავლის 1/5—1/10, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ეს ციფ-
რი 1/4-დან 1/2-მდე ავიდა, ე. ი. გლეხს ეხლა ერთი და იმავე მიწის სარგებლობისათვის გაცილებით
მეტი უნდა ეძლია, ვინემ ბატონყმობის დროს. გრაფი ეორონკოვ-დაშკოვი 1907 წლის თავის უქვე-
შევრდომილეს მოხსენებაში პირდაპირ აღიარებს, რომ „გლეხთა დიდი უმეტესობის ეკონომიურ მდგო-
მარეობა ბატონყმობის მოსპობის შემდეგ პირდაპირ გაუარესდა“. განა გასაკვირველია, რომ ასეთ პი-



რობებში ჩვენში სასოფლო მეურნეობა ვერ განვითარდა, რომ ევროპის მაღალმა ტექნიკამ აქ წინააღმდეგ ვერ მოიპოვა და ჩვენი გლეხი მიწას დღემდე მამა-პაპური იარაღებით აშუშავებს? როგორ შეიძლება და ევროპიული მეურნეობის აღორძინება იქ, სადაც გლეხი თავის ნაშრომის ნახევარს და ხშირათ მეტსაც მუქთა-ხორა მებატონეს აძლევდა. ჩვენში კი მეურნეობას მარტო გლეხი ეწეოდა. მემამულე მხოლოდ ნთქავდა სხვისი ნაოფლარით მონაგარს. ის არა თუ ლეზულობდა მონაწილეობას ქვეყნის სამდიდრის შექმნაში, არა თუ შეელოდა მის საწარმოო ძალების განვითარებას, პირიქით, საშინლათ აფერხებდა მას და მეტ ბარგათ აწვა კისერზე ხალხს. ამის პირდაპირი შედეგი ის იყო, რომ მიწის ნაყოფიერება თანდათან დაეცა. თუ გასული საუკუნის მე-70 წლებში, მაგ. ქუთაისის გუბერნიაში დესეტინა მიწა იძლეოდა 180—200 ფუთს სიმინდს, იგივე დესეტინა დღეს 60—80 ფუთის მეტს არ იძლევა.

თავის თავად ცხადია, რომ დაღანს ანაირ მდგომარეობაში დარჩენა შეუძლებელი იყო. **გლეხთა და აი, ჯერ რუსეთში და მერე ჩვენში იწყება ფართე რევოლიუციონური მოძრაობა, რომ მოძრაობა.** ლის მთავარი მიზანია ფეოდალური ნაშთების აღმოფხვრა როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ სფეროში. ჩვენში ეს მოძრაობა პირველათ ქალაქებში იკიდებს ფეხს, მარა მალე იგი სოფელსაც ეღება და ერთიანათ იმორჩილებს მას. ყოფილი რუსეთის იმპერიის არც ერთ ნაწილში არ ჰქონებია ადგილი გლეხთა ისეთ ძლიერ მასიურ მოძრაობას, როგორც ჩვენში. არც ერთი კუთხის გლეხკაცობას ისეთი ხანგრძლივი აქტიური მონაწილეობა არ მიუღია ძველი წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ეს ქართველმა გლეხკაცობამ მოიპოქმედა. ეს მოვლენა აიხსნება, რასაკვირველია, არა ქართველი გლეხის პირადი თვისებით, არამედ იმ განსაკუთრებული მდგომარეობით რომელშიაც ის იმყოფებოდა. მაწის საკითხს აქ უპირველესი ადგილი ეჭირა. პირველი ამოძრავებისთანავე გლეხები უდგენენ მემამულეებს მოთხოვნის დალის შემკარების შესახებ და საკვირველი ერთსულოვნობით ანხორციელებენ გაფიქვას იმ მემამულეთა წინააღმდეგ, ვინც მათ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. 1904 და 1905 წ. წ. ჩვენ ვხედავთ, რომ მემამულეებს ბევრ ადგილას დალას სულ არ აძლევდნენ. მემარტუნე პარტებს მოთხოვნილება მემამულეთა მაწა-ადგალის კონფისკაციის შესახებ აქ ფართო გამოქაჩილს პოულობს. მართალია, 1905 წლას მოძრაობა დაშრცხდა, რეაქციამ გაიმარჯვა, სოფლებში გაიგზავნა დამსჯელი რაზმები, ურჩ პროვინციებს გადახდათ დიდი კონტრიბუციები მემამულეთა სასარგებლოთ, მარა ვერავითარმა რებრესიამ გლეხკაცის თავიდან ვეღარ აღმოფხვრა ის აზრი, რომ მიწა მემამულეებს უსათუოდ უნდა ჩაოეროვას. ამიტომაც იყო, რომ იგი შაებნელი რეაქციის დროსაც თავის ხმებს აძლევდა იმათ, ვინც მიწისა და თავისუფლებისათვის იბრძოდა.

ერთი სიტყვით, ჩვენი გლეხი რევოლიუციონური მოძრაობის მუდმივი მონაწილეა, მისი მხარის დაქვერი და გამაქტიკებულია. იგი დიდი მოთმინებით და სიმტკიცით ელის რევოლიუციის გაშრჯვებას და თავისი სამართლიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

1917 წ. და აი, ეს ნანატრი დროც დადგა. 1917 წლის მარტის რევოლიუციამ ერთბაშად დასრველი-ცა თვითმპრობელობა. მემამულეთა მიწების ჩაშორთმევა დემოკრატიამ. დლიურ წესრიგში უცია. დასვა.

გაშარჯვება ისეთი ძლიერი იყო, რომ რადიკალური აგრარული რეფორმა ყველას აუცილებლათ მიჩნდა. თვით მემამულეთა წრეებიც კი ადვილათ ურიგდებოდნენ ამ აზრს.

რევოლიუციონურმა დემოკრატიამ მიზნათ დაისახა მიწის საკითხის მწყობრათ და ორგანიზაციულათ გადაჭრა. ამიტომ რეფორმის გატარება მან დაუკავშირა დამფუქნებელი კრების მოწვევას. ამ უკანასკნელს უნდა დაედსტურებია ხალხის საერთო სურვილი, მისი ავტორიტეტული სიტყვა, უნდა გამხდარიყო ყველასთვის გარდაუვალ კანონათ. მანამდი კი შეუდგნენ მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობის მოწესრიგებას. სხვათა შორის, ამ მიზნისათვის დაარსდა საადგილმამულო კომიტეტები.

იდეია დამფუქნებელი კრების მიერ მიწების კონფისკაციის დაკანონებისა სწორი იდეია იყო, მარა რუსეთის სინამდვილეში მან წინააღმდეგი შედეგი გამოიღო. საქმე იმაშია, რომ დამფუქნებელი კრების მოწვევა გაჭიანურდა. შინაურ და გარეშე დაბრკოლებათა გამო რუსეთის რევოლიუციის მთლიანი ფრონტი დაიშალა; რევოლიუციის დამარღვეველი ტენდენციები გაძლიერდა. გლეხკაცობა კი მოთინებას ჰკარგავდა. ის მოელოდა მიწის საკითხის მალე გადაჭრას და რაკი ეს ვერ დაინახა, ხელი მიჰყო მემამულეთა მიწების დატაცებას და მათი ეკონომიების აკლებას. სოფლებში დაიწყო ექსცესები.

ჯერ კიდევ 1917 წლის მაისში მთავარ საადგილ-მამულო კომიტეტის პირველსავე კრებაზე დაისვა კითხვა სოფელში ანარქიული მოძრაობის გაძლიერების შესახებ. აქ მოიყვანეს მრავალი ფაქტი გლეხების მიერ მამულების დატაცებისა. პროვინციალური კორესპონდენტები თითქმის ერთხმით მდგომარეობას მეტად სასიშრად სცნობენ. გლეხთა ყრილობები ბევრ ადგილას ადგენენ მემამულეთა მიწაწყალის ჩაშორთმევას და თავისი დადგენილებები სისრულეშიაც კი მოჰყავთ. ყოველი მხრიდან აჩქარებენ კითხვის გადაჭრას. ხშირათ გლეხთა ყრილობანი შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რათა მათი დადგენილება კანონიერათ იცნან და „მიწის მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ ჩაუთვალონ აგრარულ უწყსობათ“. ზოგიერთი ადგილებიდან მოითხოვენ დაჩქარებით გამოიცეს კანონი მთელი მამულების სახალხო საკუთრებათ გამოცხადების შესახებ. მარა არც დროებით მთავრობას, არც საადგილმამულო კომიტეტს და სამწყუხაროთ, არც ხელმძღვანელ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს აქედან შესაფერი დასკვნა არ გამოუყვანიათ. ჩვენ შემცდარა არ ვიქნებით, თუ ვიტყვი, რომ ბოლშევიზმის გაძლიერებას დიდათ შეუწყო ხელი აგრარული კითხვის ასეთმა გაჭიანურებამ. საჭირო იყო დაუყოვნებლოვ დეკრეტის გამოცემა მიწების ჩაშორთმევის შესახებ. მთავრობა, რომელიც ამას მოიპოქმედებდა, ნდობას მოიპოვებდა ხალხის თვალში და, ვინ იცის, რუსეთის რევოლიუციის ბედიც შეიძლება სხვანაირათ შეტრიალებულიყო. მარა ეს ასე არ მოხდა.

გლეხთა სტიქიური მოძრაობა კი თანდათან ძლიერდებოდა. უკმაყოფილება სულ უფრო იზრდებოდა; დემოკრატიის ხელმძღვანელი წრეები ფართე მასის თვალში ნდობას კარგავდნენ.

აგრარულმა უწყსობამ ჩვენშიაც იჩინა თავი. ჩამორჩენილი მაზრების გლეხობა შეუდგა მემამულეთა სახლ-კარის დაბევეს და ცოლ-შვილის აწიოკებას. ეს ამბები ხდებოდა იმ დროს, როცა ამიერ-კავკასია ფაქტიურათ ჩაშოშორდა ბოლშევიკურ რუსეთს და თავისი საკუთარი ძალით შეეცადა სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობას.



ამ პირობებში გამოიკა ახიერ კავკასიის კომისარიატის დეკრეტი შემამულეთა მიწების ჩამორთმევის შესახებ. ეს იყო ჩვენში აგრარულ საკითხში რევოლუციონური დემოკრატიის პირველი, თუმცა სუსტი, გამარჯვება. უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი რევოლუციონური ორგანიზაციები კარგა ხანია გრძნობდნენ რუსეთის დემოკრატიის ხელმძღვანელ წრეების შეცდომებს და თავის დროზე შეეცადნენ კიდევ მის გამოსწორებას. ასე მაგალითად, პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე გაგზავნილმა დელეგატებმა მიიღეს იმპერატიული მანდატი მთავრობის რეორგანიზაციის და მიწის საკითხის დაჩქარების შესახებ. მარა თათბირზე ეს პოლიტიკა დაპარკდა. მისი უმრავლესობა ისევ ძველ გზას შერჩა. ამას მოჰყვა ბოლშევიზმის გამარჯვება და რუსეთის დანაწილება.

როგორც ვთქვით, ამიერ-კავკასია თავისი საკუთარი ძალების შემხედვარე დარჩა. რევოლუციონური დემოკრატიის ზეგავლენით კომისარიატი შეუდგა ფართო რეფორმებისათვის მზადებას. ამით შორის პირველი ადგილი მიწის საკითხს ეჭირა. მარა კომისარიატის დეკრეტს აზის არა მარტო დემოკრატიის ზეგავლენის ბეჭედი. როგორც ვიცით, კომისარიატში შედიოდნენ თათრებისა და სომხების ნაციონალისტებიც — უმთავრესათ შემამულეთა წარმომადგენლები. უკანასკნელნი კი სრულებითაც არ იყვნენ დაინტერესებული აგრარული საკითხის გადაჭრის დაჩქარებაში. პირიქით ისინი ამას გაურბოდნენ და დემოკრატიის წარმომადგენლებს ჩუმ თუ აშკარა ოპოზიციაში ედგნენ. და აი, ამიტომ ამიერ-კავკასიის დეკრეტიც გამოვიდა დაუსრულებელი, კომპრომისული. მას ნათლად აზის ბეჭედი იმ ანტი-გონისტურ ძალთა გავლენისა, რომელნიც მის შემუშავებაში მოაწილეობას იღებდნენ. აქ, ამ დეკრეტში აღიარებულია დებულება, რომ მთელი მიწა-ადგილები განსაზღვრული ნორმის ზევით უნდა ჩამოერთვას შემამულეებს, მარა თვით ნორმა არ არის ნაჩვენები. ამიტომ მთელ დეკრეტს მიეცა უფრო დეკლარაციის ხასიათი, ვინემ პრაქტიკული ღონისძიებისა. აგრარული რეფორმის მოწინააღმდეგეები ფიქრობდნენ ამ დეკლარაციით დაკმაყოფილებას, მომხრენი კი ცდილობდნენ მიწის დეკრეტი მალე პრაქტიკულათ ცხოვრებაში გაეტარებიათ. ეს ასეც მოხდა.

7 თებერვალს შეიკრიბა ამიერ-კავკასიის სეიმი. დაჩქარებით არჩეულ იქნა აგრარული კომისია, რომელმაც თავისი ინიციატივით შეიმუშავა და სასწრაფოთ წარუდგინა სეიმს კანონი. კანონი შემამულეთა ნორმის განსაზღვრის შესახებ. კომისიის პროექტი 7 მარტს სეიმმა დააკანონა. მან ამით შეავსო 16 დეკემბრის დეკრეტის ნაკლი და კომისარიატის სიტყვა მასულების ჩამორთმევის შესახებ საქმეთ აქცია. ამაში მდგომარეობს მთელი მნიშვნელობა და ღირებულება 7 მარტის კანონისა.

მარა უკანასკნელი ეხება მხოლოდ მიწის საკითხის ერთ მხარეს; იგი სწყვეტს კითხვას იმის შესახებ, თუ რამდენი ჩამოერთვას ან, რაც ერთი და იგივეა, რამდენი გამოეყოს შემამულეს თავის წინანდელი მამულიდან. რაც შეეხება საკითხის მეორე მხარეს — ჩამორთმეული მიწებით სარგებლობის ფორმას — ამის შესახებ კანონი სდუმს. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, თუ რა პირობებში მოხდა ხსენებული კანონის გამოცემა. ახლოვდებოდა მიწების დაუშავების დრო. მთელი გლეხობა მოუთმენლად მოელოდა მიწის საკითხის გადაჭრას. ბევრ ადგილას ანარქია მძვინვარებდა. საჭირო იყო სეიმს დაჩქარებით ეთქვა თავისი სიტყვა და ერთხელ და სამუდამოთ გამოერკვია, თუ ვის ხელში რჩებოდა შემამულეთა მიწები. ამიტომ კანონმდებელმა სრულიად შეგნებულათ არ დაისახა მიზნათ ყველა კითხვების ერთბაშად გადაჭრა, ვინაიდან ეს იქნებოდა კითხვის გაჭიანურება. გლეხთა მიწათ-მფლობელობის გამოურკვევლობისა და შესაფერი სტატისტიკური ცნობების უქონლობის გამო, იმ ჟამათ შეუძლებელი იყო გამოერკვიათ „ნადელის“ ნორმა. ამიტომ ერთი მთლიანი კითხვა ორათ გაიყო: კანონმდებელმა განსაზღვრა შემამულისთვის დასატოვებელი ნორმა და არაფერი სთქვა იმის შესახებ, თუ რამდენი და რა სახით მისცემოდა გლეხს. ეს საკითხი მან საშერმისოთ გადასდო.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს დავალა მამულების ჩამორთმევა და მათი გლეხთა რეფორმის შორის დროებით სასარგებლოთ განაწილება. და ისიც შეუდგა მოქმედებას. გამოიკა ვრცელი ინსტრუქცია ადგილობრივ ორგანიზაციათა და უწყების აგენტების სახელმძღვანელოთ. 7 მარტის კანონის მე-5 მუხლის თანახმათ სამინისტრომ სოფლებში დაგზავნა განსაკუთრებული რწმუნებულები და ემისარები. ამ მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე თავისი პროპაგანდისტული ძალებით ამიერ-კავკასიის საგლეხო ცენტრმა.

მეტად ცუდ პირობებში მოუხდა სამინისტროს მუშაობის დაწყება. ბევრ ადგილას ანარქია მძვინვარებდა. ადმინისტრაციული აპარატი თითქმის ყველგან მოშლილი იყო. მიმღები კომისიები მოკლებული იყვნენ ყოველგვარ დახმარებას. მათ სამოგზავრო საშუალებაც კი არ გააჩნდათ. ამავე დროს რეფორმის მტრები გაფაციცებით მუშაობდნენ ზოგი ჩუმათ, ზოგიც აშკარათ. თათრების პროვინციებში ბევრგან მოაწყვეს „ბანდები“, რომელნიც თავს ესხმოდნენ სოფელში მისულ ჩვენს აგიტატორებს და აძევებდნენ იქიდან. სამინისტროს დიდი შრომა და ენერჯის დახარჯვა დასჭირდა, სანამ თათართა რომელიმე პროვინციაში გაშავრდებოდა და შესაძლებელი გახდებოდა იქ მიმღები კომისიების გაგზავნა. მუსულმანთა დემოკრატიული ელემენტების შემწეობით მან ეს დაბოლოს მოახერხა და განჯის გუბერნიის ყაზახის მაზრა „დაპყრობილ“ იქმნა. იქიდან განიდგნენ შემამულეთა მომხრეები. ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა ამ ამბავს. იგი მოუთმენლათ მოელოდა შემამულეთა მიწების ჩამორთმევას და სამინისტროც ის-ის იყო იწყებდა მუშაობას, რომ ამ დროს ამიერ-კავკასიაში შეპოიჭრა ოსმალთა ჯარები, რამაც ერთიანათ შესცვალა ჩვენი განზრახვები. ამიერიდან სამინისტროს მოღვაწეობა შემოიფარგლა პატარა საქართველოს საზღვრებით. აქ კი მეორე გვარი საშიშროება იყო მოსალოდნელი. საქმე იმაშია, რომ ჩვენში გლეხებმა ფაქტიურათ უკვე მოასწრეს შემამულეთა მიწა-წყლის დატაცება. მოსალოდნელი იყო, რომ ნორმის გამოყოფას წინაღუდგებოდნენ ისინი. მარა წინასწარი აგიტაციის გაწევით ეს საფრთხე თავიდან ავიშორეთ. გლეხობა საერთოდ კარგად შეხვდა მიმღები კომისიების მუშაობას. მიწის მზომელის გაჩენამ სოფლად და მიჯნების ჩაყრამ გლეხებზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლა დარწმუნდნენ იმაში, რომ მთავრობა აღარ ხუმრობდა და მიწების ჩამორთმევა ცხოვრებაში მართლათ ტარდებოდა. შეჩერდა სოფლებს შორის შეხლა-შემოხლა მიწების განაწილების თაობაზე, თითქმის შესწყდა შემამულეების დენა. სოფელი რამოდენიმეთ კალაპოტში ჩადგა; იქ შედა-



რები თი სიწყნარე ჩამოვარდა. ვ. ი. მოხდა სულ წინააღმდეგი იმისა, რასაც დღეს აგრარული მისა მტრები ამტკიცებენ: 7 მარტის კანონს და მის ცხოვრებაში გატარებას დიდი დამამშვიდებელი მნიშვნელობა დაურჩა. სოფლის სტიქიას კანონიერი გამოსავალი მიეცა.

პირველ ხანებში სამინისტრო ფიქრობდა თითველ მაზრაში ორი-სამი მიმღები კომისია ამუშავებია. მარა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ საჭირო იყო კომისიების რიცხვის გამრავლება. ზოგიერი გასული ზაფხულის განმავლობაში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში რამდენიმე ათეული კომისია მუშაობდა. გარდა ამისა, თანახმად კანონისა, სამინისტრომ გაგზავნა სპეციალური კომისიები კულტურული მამულების, ტყეებისა, მინერალური წყლებისა და კურორტების მისაღებათ. ჩვენ დღეს უკვე ჩაბარებული ვვაქვს კერძო მემამულეთა 300.000 დეს. მეტი მიწა, ტყე - 1.045.000 დეს., საძოვარი ადგილები - 292.608 დეს. 1635 კვ. საჟ., მინერალური წყლები 40 და 80.000 დეს. კულტურული მამულები და მათ გარშემო მდებარე მიწები. აქ არ არის ნაანგარიშევი ბორჯომის მამული, რომლის სივრცე 72 ათას დესეტინას უდრის.

ცალკე რაიონებათ ჩამორთმეული მიწები ასე განაწილდება:

თფილისის გუბერნია:

მაზრები:

1. თფილისის	62.621	დეს.	2363	კვ.	საჟ.
2. გორის	51.707	"	1665	"	"
3. დუშეთის	21.968	"	1862	"	"
4. თიანეთის	29.412	"	1882	"	"
5. სიღნაღის	25.642	"	2313	"	"
6. თელავის	27.475	"	1732	"	"
7. ბორჯომის	20.444	"	274	"	"

ქუთაისის გუბერნია:

მაზრები:

1. ქუთაისის	5.562	დეს.	2387	კვ.	საჟ.
2. შორაპანის	5.155	"	2069	"	"
3. რაჭის	35	"	2180	"	"
4. ოზურგეთის	15.465	"	25	"	"
5. ზუგდიდის	1.835	"	1630	"	"
6. სენაკის	25.208	"	453	"	"

აქედან სჩანს, რომ მუშაობა ქუთაისის გუბერნიაში ნელი ნაბიჯით მიდიოდა. ამის მიზეზი ორია: ერთი ის, რომ ქუთაისის გუბერნიის ერთი ნაწილი პირველ ხანებში ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა. ზოგიერთ მაზრებში იქ პირდაპირ შეუძლებელი იყო მუშაობა. მეორეც, ქუთაისის გუბერნიაში ჩამოსართმევი მამულები სივრცით ბატარაა და თან ისე დაქუცმაცებული, რომ ზოგიერთი მამულის ჩაბარებას რამოდენიმე კვირას ანდოვებდა მიმღები კომისია.

შედეგობაში მისაღებია აგრეთვე ის, რომ სოხუმის ოლქში მიწების ჩამორთმევას მხოლოდ ამ ბოლო ხანს შეუდგა მიწათ-მოქმედების სამინისტრო. ამის მიზეზი იყო ის განსაკუთრებული ხელშეკრულება, რომელიც გარემოებათა ზეგავლენით დაიდვა აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს მთავრობის შორის და რომლის ძალითაც ხსენებული რეფორმა თვით აფხაზთა საბჭოს უნდა გაეტარებია ცხოვრებაში. უკანასკნელმა კი ეს უფლება, ხელშეკრულობით მიცემული, ბოროტათ გამოიყენა. მან არ მოისურვა მიწების ჩამორთმევა, ვინაიდან თითონ საბჭო შესდგებოდა უმთავრესათ მემამულეთა და მათ დამკველთაგან. მხოლოდ ამ საბჭოს რევოლიუციონური უმცირესობის მიერ გაუქმების შემდეგ მიეცა სამინისტროს საშუალება, თანახმად მცხოვრებთა საერთო სურვილისა, გაეგზავნა იქ ორი მიმღები კომისია. ახლო მომავალში სამინისტრო ფიქრობს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შავი ზღვის პირა ადგილებს და დააჩქაროს იქ რეფორმის განხორციელება.

სამინისტრომ მოახდინა ლიკვიდაცია ძველი საიჯარო ხელშეკრულებისა და დააწესა საადგილ-მამული ფონდიდან მიწის სარგებლობისათვის შემოსავლის ერთი მეათედის გადახდა. ამ გადასახადების აკრეფა უწყებამ მიანდო სასურსათო სამინისტროს, რომელმაც რამდენიმე მილიონის მანეთის საღირსალი ხორბალი უკვე შეაგროვა. ასე რომ სახელმწიფო მესაკუთრეა ჩამორთმეულ მიწების არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც და გლახობაც ამ ფაქტს სცნობს და აღვილათაც ურიგდება.

მარა ასე მდგომარეობაში დარჩენა დიდხანს შეუძლებელია, უნდა გადაიჭრას საკითხი ჩამორთმეული მიწებით სარგებლობის ფორმისა. როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ეს საკითხი ღიათ დასტოვა როგორც ამიერ-კავკასიის კომისარიატის დეკრეტმა, ისე სეიმის მიერ გამოცემულ 7 მარტის კანონმა. ეს მაშინ ტაქტიკური და პოლიტიკური მოსაზრებით შესაწყნარებელი და მიზანშეწონილი მოქმედება იყო. მარა ჩვენ დიდ პოლიტიკურ შეცდომას დაუშვებდით და თან დიდ ზიანსაც, მივაყენებდით ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განვითარებას, თუ დღესაც საკითხს ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში დავტოვებდით.

ჩამორთმეული მიწებით, როგორც ამიერ-კავკასიის დეკრეტი ამბობს, უნდა „დაკმაყოფილებულ იქნას უმიწაწყლო და ცოტა მიწის მქონე მშრომელი მიწის მომუშავე“.

მარა როგორ და რა სახით?

თუ ეს არის დღეს მთავარი კითხვა და მისი სწორი გადაჭრა ნიშნავს ჩვენი ცხოვრების ერთი უდიდესი სოციალური და პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტას. აქ შეცდომის დაშვება მომაკვდინებელი ცოდვაა. ამ სფეროში ექსპერიმენტების მოხდენა პირდაპირ შეუწყნარებელია.



კითხვა ასე უნდა დავსვათ: **მიწით სარგებლობის რომელი ფორმა უფრო შეეფერება ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარების საფეხურს და რომელი ფორმა უფრო შეუწყობს ხელს ქვეყნის საწარმოო ძალთა შემდეგ ზრდა-განვითარებას.**

ყოველი ზომა, რომელიც აფერხებს ეკონომიურ განვითარებას მიუღებელია და, პირიქით, ყოველი ღონისძიება, რომელიც ამ განვითარებას ხელს უწყობს, დასაშვებია. თუ ამ მარტივ დებულებიდან გამოვალთ და მას შევუფარდებთ ჩვენი ცხოვრების კონკრეტულ პირობებს, დავინახავთ, რომ ჩამორთმეული მიწების ერთი ნაწილი სოფლის მეურნეთ უნდა გადაეცეთ **კერძო საკუთრებათ**. ეს აუცილებელია, თუ გვსურს ცხოვრების გარდაუვალი მოახოვნილებას ანგარიში გავუწიოთ.

ჩვენი გლენობა კერძო საკუთრების დიდი მოტრფიალეა. აგარარული რეფორმა მისთვის იმდენათაა მომზიდველი, რამდენათაც იგი მას ჩამორთმეულ სახნავ-სათეს მიწებს საკუთრებათ გადასცემს. ის იცავს არა მარტო იმ საკუთრებას, რომელიც მას ახლა აქვს, არამედ უნდა აგრეთვე შემამულეთაგან ჩამორთმეული მიწებიც საკუთრებათ მიიღოს. ჩვენს მიმღებს კომისიებს გლენები ყველგან ერთი და იმავე თხოვნით მიმართავენ: ისინი გამოსთქვამდენ სურვილს, რომ მათაც ისე მიზომოდათ რაიმე ნორმა, როგორც შემამულეს. ამ ნიადაგზე ხშირათ გაუგებრობასაც ქონდა ადგილი. იყო შემთხვევები, როცა პროვოკატორებმა შესძლეს გლენების დარწმუნება იმაში, რომ მიმღები კომისიები შემამულეთა საქმეს აკეთებდნენ და არა გლენებისას. მესაკუთრე გლენთა მასის შეგნებაში საადგილ-მამულო კომიტეტი იგივეა, რაც შემამულე. აქ გარჩევას ხედავს მხოლოდ მცირე ნაწილი შეგნებული გლენობისა. დიდი უმეტესობისათვის კი მიწის საკითხი მხოლოდ მაშინ წყდება, როცა ეს მიწები მას საკუთრებათ მიეცემა. და ეს სურვილი საკუთრებათ მიწების მიღებისა იმდენათ ძლიერია, იმდენათ მტკიცე, რომ ყოველგვარ დაბრკოლებას ადვილათ უვლის გვერდს. ჩვენ ვიცით, თუ როგორი სიძულვილით იყო გლენი შემამულისადმი გამსქვალული. ეს სიძულვილი და გაბოროტება მან გამოსახა ქართლში შემამულეთა სახლკარის აკლებით და მათი ცოლ-შვილის ამოწყვეტით. და ასე წარმოიდგინეთ, იგივე გლენი სტოვეებს თავის არჩეულ საადგილ-მამულო კომიტეტებს, გვერდს უვლის თავის შეგნებულ მეზობელს, რომელსაც იგი მუდამ უჯეროდა, და მიუხედავად აკრძალვისა, ყიდულობს დიდი საფასურის გაღებით იმავე შემამულისაგან მიწას, თუმცა დარწმუნებული არ არის, რომ ამ ნაყიდობას ძალა დაურჩება და ფული ტყვილათ წყალში გადაყრილი არ იქნება. მარტო ეს ფაქტი ბევრ რამეს გვეუბნება. ყოველ შემთხვევაში იგი ღირსია იმისა, რომ მას დიდი ანგარიში გავუწიოთ.

ჩვენში ხშირათ გაიგონებთ რუსეთის ნაროდნიკებისაგან ნასესხებ აზრს, თითქო ჩვენი გლენი მიწას უყურებდეს როგორც მთელი ხალხის საკუთრებას, თითქო იგი ილტოდეს მიწაზე საზოგადო საკუთრება დააწესოს. ეს შეხედულება თავიდან ბოლომდე ეწინააღმდეგება სინამდვილეს. ჩვენი გლენი, პირიქით, მუდამ ცდილობდა მიწის მესაკუთრე გამაძარიყო. სხვა რომ არა იყოს რა, ამას ამტკიცებს მარტო ის ფაქტი, რომ საქართველოში მთავრობის დაუხმარებლათ მრავალია გლენმა საკუთრებათ შეიყიდა სანადგო მიწები და ბევრი ამის გარეშეც შეიძინა. ქუთაისის გუბერნიაში მარტო დროებით ვალდებულმა გლენებმა შეიყიდეს შემამულეთაგან საკუთარი სურვილითა და საშუალებით 144 ათასი დესეტინა მიწა და შემამულეებს მისცეს ამ მიწებში 7.200.000 მანეთი.

ცხადია, თუ ახალი წყობილება გლენობის საერთო სულისკვეთებას გვერდს აუხვევს, **მიწის საკუთრებათ გადაცემის პოლიტიკური მნიშვნელობა.** ის ვერ მოიპოვებს მასში საიმედო დამცველს. ამიტომ მიწის საკუთრებათ გადაცემას ჩვენთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სოფელში მუდამ ექნება ადგილი ავანტიურასა და პროვოკაციას, სანამ გლენს გული საგულეს არ მიეცემა, სანამ ის არ მიიღებს მას, რასაც მოელოდა და დღესაც მოელის რევოლიუციისაგან. ის დამზიდდება და მადლიერი იქნება ახალი წყობილებით, როცა ამ მოლოდინს გაიმართლებს. განა სადავო დასამტკიცებელია ის, რომ გლენი რევოლიუციაში მონაწილეობას იღებდა მიწის გულისათვის? რომ უპირველესი მიზეზი მისი რევოლიუციონერობისა იყო და არის მიწის საკითხი? და თუ ეს საკითხი მის მაგიერ სხვამ გადასჭრა, თუ მას თავზე მოახვიეს მიწათ-მფლობელობისა და სარგებლობის ისეთი ფორმა, რომელიც მას არ სწავს, ცხადია ის რესპუბლიკას ზურგს შეაქცევს და გაჰყვება იმას, ვინც მის სურვილს შეასრულებს.

ჩვენ არ ვართ სავსებით დაზღვეული რესტავრაციისაგან. მართალია, ჩვენი შინაური რეაქციონური ძალები ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტია, რომ ძველი წყობილება აღადგინონ, მარა პოლიტიკური მდგომარეობა ცვალებადია. შესაძლებელია დადგეს ჩვენს ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როცა შინაური თუ გარეშე ძალების შემწეობით რეაქცია თავს წამოყოფს. მაშინ ვისკენაც იქნება გლენკაცობა, გამარჯვებაც იმას დაჩეხება. თვით რესტავრაციის ცდასაც იმდენათ ნაკლებათ ექნება ადგილი, რამდენათაც გლენთა მასა საამისოთ განწყობილი არ იქნება. როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, დღეს იგი საადგილ-მამულო კომიტეტების მუშაობას ისე უყურებს როგორც სხვისი საქმის კეთებას, როგორც ისეთ რამეს, რომელსაც მის საკუთარ ინტერესებთან საფრთხე არაფერი აქვს. მთელი ეს საქმე მისთვის თითქმის უცხო და გაუგებარია. ამიტომ ის დიდათ თავს არ გამოიდებს ჩამორთმეული მიწების დასაცავათ. თუ უკანასკნელის გარშემო გაჩაღდა სამოქალაქო ომი, ის უკეთეს შემთხვევაში განზე ვადგება, უარესში კი — თითონ მიიღებს მონაწილეობას იმათ მხარეზე, ვინც ახალ წყობილებას ომს გამოუტხადებს. ისტორიამ არა ერთი და ორი მაგალითი იცის გლენთა ასეთი გაბრიყვებისა და მათი შეუგნებლობის გამოყენების რეაქციონური ძალების მიერ. უცხო ქვეყნის მაგალითებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენშიაც ჰქონდა ადგილი პატარ-პატარა ვანდეიას დუშეთის, ზუგდიდის, ლეჩხუმის და თიანეთის მაზრებში. ბოლშევიკურ მოძრაობის სულის ჩამდგმელათ ჩვენ ვხედავთ, სხვათა შორის, რეაქციონური შემამულეებსაც. ლეჩხუმში მათ პირდაპირ გააუქმეს ჩვენი აგარარული კანონი და გლენებს ღალას ართმევდნენ და მიწებში დიდ ფასებს ახდევინებდნენ.

სულ სხვა იქნება, როცა გლენები მიწებს მიიღებენ რესპუბლიკისაგან საკუთრებათ. მაშინ ისინი კბილითა და ხელით დაიცავენ რესპუბლიკანურ წყობილებას, ვინაიდან უკანასკნელთან შეკავშირებული იქნება მისი სასიცოცხლო ინტერესები და ყოველივე ის, რისთვისაც ასე აღმერთებდა ის რევოლიუციას. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მისთვის ყოველთვის და ყოველ ჟამს გასაგები ახალი წყობილების დასაცავათ ბრძოლა. მარა პოლიტიკური წყობილებაც რომ შეიცვალოს, მაინც შეუძლებელია



ბელი იქნება მამულების უკანვე დაბრუნება, ვინაიდან რეაქციის მაშინ დასჭირდება მთელი გლეხობის ფიზიკურათ გაწყვეტა.

თვით სოფლის დასამშვიდებლათ და ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლათ საკუთრებათ მიწების გადაცემას დიდი მნიშვნელობა ექნება. თუ სოფელი კიდევ ღელავს და ბორგავს ამის ერთი მიზეზთაგანი უექველათ ჩამორთმეული მიწების საკითხის გამოურკვევლობაა. მთელ გლეხობას დღეს ამ მიწებისაკენ უჭირავს თვალი. ვინაიდან მიწა საერთოდ ცოტაა—ყველას ეზინია, რომ ის ცარიელზე არ დარჩეს და მისმა მფლობელმა არ ჩაიგდოს ხელში ის მამული, რომლის მიღებასაც თითონ ფიქრობს. ასეთ პსიხოლოგიურ მდგომარეობაში სოფელი ვერ დაწყნარდება. ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ის მიიღებს, რის მიღებაც შესაძლებელია, როცა მიწის საკითხი ავით თუ კარგათ ერთხელ და სამუდამოთ გადაიჭრება.

შეიძლება ჩვენ გვითხრან: კეთილი და პატიოსანი. მართალია, გლეხი მესაკუთრეა და ეკონომი- მიწების კერძო საკუთრებათ მიღება სურს, მარა ეკონომიური პროგრესის და მეურნეობის ინტერესის თვალსაზრისით ეს მისი სურვილი მიუღებელია... მას მოყვება მიწების დაქუცმაცება, რაიც მომავალში გარდაუვალი დაბრკოლება შეიქნება ჩვენში სხელი რაციონალურ სასოფლო მეურნეობის აღორძინებისათვის.

მარა პირველ ყოვლისა, ჩვენ მომხრე ვართ არა მთელი მიწების კერძო საკუთრებათ გადაცემის, არამედ მისი ერთი ნაწილის, სახელდაზ სანაგ-სათესი მიწების. სახელმწიფოსა და თვითმართველობათა ხელში რჩება მრავალი კულტურული მამული თავისი სხელი-წმინდა კაპიტალისტური მეურნეობით, მიწები საცდელი და საჩვენებელი მინდვრებისათვის. სამეურნეო სასწავლებლებისა და ზოგიერთ სხვა კულტურულ დაწესებულებათა საჭიროებისათვის. სახელმწიფოსავე ხელშია მინერალური წყლები, ტყეები, მინდვრები, სააგარაკო ადგილები, საძოვრები. სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდს მიემატება აგრეთვე ნომადალში ის მიწები, რომელსაც ბუნებას წავართმევთ სამელიორაციო და საარიგაციო მუშაობის შემწეობით ასეთია შავი ზღვის პირის უზარმაზარი ტაობები, შირაქის და ყარაიზის ველი და ბევრი სხვა ადგილი.

თუ ყველა ამას გამოვაკლებთ, დადგვრჩება მარტო სანაგ-სათესი მიწები რომელზე დღესაც ფაქტიურათ, გლეხთა წვრილი მეურნეობაა გაჩაღებული. ამ მიწებს შემამულებები ძველი დროიდანვე აძლევდნენ გლეხებს იჯარით. პრესასა და საზოგადოებაში ხშირათ გაიგონებთ აზრს, თითქო. აგრარულმა რეფორმამ დასცა შემამულეთა კულტურული მეურნეობა და ქვეყანა ეკონომიურათ ჩამოაქვეითა. ეს ყალბი აზრია. სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება. უმნიშვნელო გამოჩაქვისის გარდა, ჩვენში შემამულებები მეურნეობას არ ეწეოდნენ. საქართველოში არსებობს მხოლოდ წვრილი საგლეხო მეურნეობა და მეტი არაფერი. თუ სამხრეთ რუსეთში კიდევ შესვდებით სხვილ ხორბლეულ კაპიტალისტურ მეურნეობას, ჩვენში, პირიქით, მთელი სანაგ-სათესი მიწები მუშავდება გლეხის მიერ მისი პრიმიტიულ იარაღებით. მართალია ზოგიერთ ადგილებში, როგორც არის გურია-საშეგრელო, სვირის რაიონი, კახეთი და სხ. ამ უკანასკნელ დროს თანდათან ვითარდება ინტესიური სასოფლო მეურნეობა ძვირფასი მცენარეების მოშენების სახით. მარა ამ საქმეში პიონერათ მემანულე არამც და არამც არ ჩაითვლება. პირიქით, ხშირათ აქ პირველობა გლეხს ეკუთვნის და მისი ვენახი და ბაღი უფრო მოვლილი და შენახულია, ვინემ შემამულეების. ამიტომ უკანასკნელთ არავითარი უფლება არ აქვთ ილაპარაკონ თავიანთ მეურნეობის უპირატესობაზე. ისინი მთელი საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდნენ მხოლოდ გლეხი კაცის მუქით შრომით და ნთქავდნენ სხვის მიერ შექმნილ სიმდიდრეს. სანაგ-სათესი მიწები გლეხობის ხელში საკუთრებათ გადასვლით ფაქტიურათ სასოფლო მეურნეობის სისტემაში არაფერათ შეიცვლება. იგივე მიწა, რომელსაც წინეთ გლეხი იჯარით იღებდა სამესამედოთა და სანახევროთაც, ახლა მის საკუთრებათ შეიქნება. დღემდე გლეხს არ ჰქონდა საშუალება მეურნეობა გაუმჯობესებია. მას არ მოეპოვებოდა საამისო ფული. მისი ნაშრომის ერთს დიდ ნაწილს ითვისებდა შემამულე, გლეხს რჩებოდა მხოლოდ იმდენი, რომ ხშირათ აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც კი ვერ ახერხებდა. ის ყოველ მხრივ შეზოქილი და შევიწროებული იყო. მარა მეურნეობის გაუმჯობესების საშუალება რომც ჰქონოდა გლეხს, ის ამას მაინც არ მოისურვებდა. მოგესხენებათ რომ ჩვენში სავსებით გაბატონებული იყო მოკლე ვადიანი საიჯარო სისტემა. ცნობილია, რომ ასეთი იჯარა რაციონალური მეურნეობის დიდი მტერია. მოიჯარადრე არ არის დაინტერესებული მამულს კარგათ მოუაროს, ის დიდი ხნით გააუმჯობესოს. ეს მოითხოვს დიდ ხარჯებს, რომელიც შეიძლება ამოგებულ იქნას მხოლოდ მრავალი წლების შემდეგ. მოკლე ვადიანი იჯარა კი ამის გარანტიას არ იძლევა, ამიტომ მოიჯარადრე არ ფიქრობს ხვალინდელ დღეზე. ის ცდილობს რაც შეიძლება ერთბაშათ გამოართვას მიწის გულს, რის გამოართმევაც კი შეიძლება. ამ ნიადაგზე ვითარდება ეგრეთ წოდებული მტაცებლური მეურნეობა, რაიც ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით ყოველად შეუწყნარებელია. სწორეთ მეურნეობის ინტერესი მოითხოვს დღევანდელ პირობებში ეს მიწები საკუთრათ გადაეცეს მათ დამმუშავებელთ. ამით ჩვენ არა თუ დავაბრკოლებთ სასოფლო მეურნეობაში საწარმოო ძალების ზდა-გავითარებას, არამედ ხელს შევუწყობთ მას. გლეხი მესაკუთრე, უექველია, უფრო დაინტერესებული იქნება გააუმჯობესოს მეურნეობა, შემოიღოს მიწის დამუშავების ახალი სისტემა, გამოიყენოს გაუმჯობესებული იარაღები, ერთი სიტყვით, მიჰყოს ხელი ინტესიურ მეურნეობას, უფრო ძვირფას და უმაღლეს კულტურის წარმოებას.

პროცესი დაბალ სამეურნეო კულტურის მაღალი კულტურით შეცვლისა ჩვენში ჯერ კიდევ ძველი წყობილების დროს დაიწყო; ფეოდალური მიწათ-მფლობელობის გაუქმებით და მიწების ერთი ნაწილის გლეხთა საკუთრებათ გადაცემით ეს პროცესი უფრო დაჩქარდება. ამიერიდან გლეხს ამის სურვილიც ექნება და შედარებით მეტი საშუალებაც. რევოლიუციამ ის განათავისუფლა მრავალგვარ ბეგარისაგან, გახადა ბატონი და პატრონი თავისი ნაშრომისა და ექვი არ არის ის ამით ფართედ ისარგებლებს. თან რომისა და რევოლიუციის დროს სოფელში დაგროვდა თავისუფალი თანხა, რომლის დიდი ნაწილი, უექველია, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას მოხმარდება. ერთი სიტყვით ყველაფერი იმის მომასწავებელია, რომ ხსენებული ზომა—მიწების კერძო საკუთრებათ გადაცემა—ვერავითარ



შემთხვევაში ეკონომიური პროგრესის შემაფერხებელი ვერ გახდება. პირიქით, არსებულ პირობებში იგი მეტათ პროგრესიული სამეურნეო ღონისძიებაა.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ის გარემოება, რაც წინათაც აღვნიშნეთ. ეს ის, რომ ჩამორთმეული მიწები არ წარმოადგენენ მთლიან მაკულებს. საკმარისია, ზეგულეთ თვალი გადავავლოთ მიწები კომისიების აქტებს, რომ დავრწმუნდეთ ერთ რამეში: სანამ საერთოდ მიწაზე კერძო საკუთრება რჩება, სანამ გლეხის კერძო საკუთრება არ გაუქმებულა, შეუძლებელია ჩამორთმეული მიწების ერთი ნაწილის მაინც სახელმწიფოს ან მუნიციპლის საკუთრებათ დატოვება. ეს მიწები ისე დაქრილ-დაქუცმაცებულია, რომ მათი გამოყოფა და იქ რაციონალური მეურნეობის წარმოება შეუძლებელია: კიდევ მეტი. შეუძლებელია მათი მოვლა პატრონობა თვითმართველობის ან სახელმწიფოს მიერ. მთავრობას მათ შესანახათ და საექსპლოატაციოა; დასჭირდებოდა მრავალ რიცხვთან მოხელეთა შტატის შექმნა.

ეს წმინდა ხელოვნური ზომის განხორციელება იქნებოდა. მთავრობა, რომელიც ამას მოიქმედებდა, გახდებოდა სოფლის მცხოვრებთათვის ისეთივე საძულველი, როგორც მემამულეები იყვნენ. გლეხკაცობა პირდაპირ ვერ გაიგებდა ახალ წესების უპირატესობას, რომელიც მას არ გადასცემდა ამ ჩამონაჭრებს. ამიტომაც დღეს ვერ ხედავს იგი არსებით განსხვავებას ძველ მემამულესა და საადგილ-მამულო კომიტეტებს შორის, რამდენადაც ეს უკანასკნელნი. მას უარს ეუბნებიან მიწის საკუთრებათ მიცემაზე და სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მიწის სარგებლობისათვის იჯარას ახდევინებენ. ამით აიხსნება სწორედ გლეხკაცობის ერთსულოვანი მოთხოვნა სახნავ-სათესი მიწების კერძო საკუთრებათ გადაცემის შესახებ. ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნა, ვინაიდან ეკონომიური პროგრესისათვის იგი არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, ხოლო პოლიტიკური მოსაზრებით ის აუცილებელია.

ამიტომ სამინისტრო გადაჭრით ემხრობა იმ აზრს, რათა სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან ზოგიერთი მიწები სოფლის მეურნეთ კერძო საკუთრებათ გადაეცეთ. მარა ფასური. აქ დგება ახალი საკითხი: მოხდეს ეს გადაცემა საფასურით თუ უფასოთ. ჩვენ, რასაკვირველია, წინააღმდეგი ვართ, რომ მიწები ბაზარზე გავიტანოთ და, როგორც ეს საფრანგეთის რევოლიუციის დროს მოხდა, ის საჯარო ვაჭრობათ გავყიდოთ. ამას ჩვენ ვერ ვიზამთ და არც უნდა ვქნათ. აგრარული რეფორმის ერთი უმთავრესი მიზანი იყო და არის უმიწა-წყლო და მცირე მამულიანი გლეხების დაკმაყოფილება. ამიტომ იყო ასე დაინტერესებული სოფლის ღარიბი ნაწილი რევოლიუციის გამარჯვებაში. ბაზრის ფასებში ის მიწას ვერ შეიყიდის და თუნდაც შეიყიდოს, ამას აზრი არ ექნება, ვინაიდან დავალიანებული გლეხი, მოკლებული საშუალებას საჭირო ინვენტარის შეძენისა, ვერ შეიძინებს მამულს და თუნდაც შეიძინოს ვერ აწარმოებს რაციონალურ მეურნეობას. ამიტომ ჩვენ არ გვინდა მიწა ბაზარზე სავაჭროთ გამოვიტანოთ. მარა ჩვენ იმის წინააღმდეგიც ვართ, რომ ის სრულიათ უსასყიდლოთ დარიგდეს. მაშასადამე, მიწის მიმღებს რაღაც საფასური უნდა გადახდეს.

როგორი უნდა იყოს ეს საფასური? რა საფუძველი უნდა დაიდვას მას, თუ ბაზრის ფასი უარყოფილია? რეფორმის გატარება მოითხოვს დიდ ხარჯებს და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ხარჯები აუცილებლად უნდა შევიდეს მიწის საფასურის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ელემენტათ. ასეთი ხარჯები რამოდენიმე ათეულ მილიონს შეიცავს.

ჩამორთმეულ მიწებზე არის ბანკის ვალები. ეს ვალები კარგა მოზრდილ თანხას-დაახლოვებით 15—18 მილიონ მანეთს შეადგენს. ამ ვალების ბუნება ისეთია, რომ შეუძლებელია მათ გადახდაზე მთავრობამ უარი სთქვას.

აგრარულ რეფორმასთან მჭიდროთ დაკავშირებულია სარწყავი არხების გაყვანა და ჭაობების დაშრობა. ჩვენში იმდენად მცირეა მიწის ფონდი, რომ შეუძლებელია დაკმაყოფილდეს მცხოვრებთა მოთხოვნილება, თუ არ ვაფართოვდა სახნავ-სათესი და საზოგადოთ სასოფლო მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ფონდი. შავი ზღვის ჭაობებს უჭირავს უზარმაზარი მანძილი 60-80 ათასი დესეტინის სივრცისა, რომელიც თავის სინოციფრით წააჭარბებს ჩვენში ყველაზე საუკეთესო მიწებს. თან ეს ჭაობიანი ადგილები მალიარის ბუდეა. მათი დაშრობა საქართველოს რესპუბლიკას შესძენს დიდ სიმდიდრეს, გაანჯანსაღებს ჰავას. გარდა ამისა, მოსარწყავია შირაქის ველი, სივრცით 60 ათასი დესეტინა; ყარაიზის. (დაპატებით) — 20 ათასი დესეტინა, თფილისსა და მდინარე იორს შუა 31 ათასი დესეტინა. სპეციალისტების გამოანგარიშებით ამ საქმეს სულ ცოტა 70—90 მილიონი მანეთი მოუწდება. სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის სასოფლო სამეურნეო კრედიტი აუცილებელ საჭიროებას შეიცავს. შეუძლებელია გლეხობამ სავსებით გამოიყენოს აგრარულ რეფორმის სიკეთე, თუ სახელმწიფოს ხელ-მოკლე მეურნეებს იათი ან უბროცენტო კრედიტით არ მიეშველა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთი მესამედი ჩვენი გლეხობისა, ე. ი., 120 ათასი კომლი ასეთ კრედიტს საჭიროებს. კომლზე რომ მარტო 600 მანეთი ვიანგარიშოთ, მივიღებთ 70 მილიონზე ცოტა მეტს.

მთელი თანხას, რომელიც უნდა განაწილდეს საკუთრებათ დასარიგებელ მიწებზე, ჩვენ ვანგარიშობთ 200—250 მილიონ მანეთს.

თფილისის გუბერნიაში საადგილ-მამულო ფონდი დაახლოვებით შეადგენს 527.097 დესეტინას. ქუთაისისაში — 200.000 დესეტინას.

სოხუმის ოლქში — 62.152 დეს. ამას უნდა მიემატოს აგრეთვე ორმოცი ათას დესეტინამდე წინანდელი სახაზინო მიწები. სულ მთელი ფონდი შეიცავს 819 ათას დეს.

ამას უნდა გამოვაკლოთ 235 ათას დესეტინამდე საძოვარი ადგილი — ეილადი და ქიშლადი, 50 ათასი დესეტინა კულტურულ მამულებისათვის და 20—30 ათასი დესეტინა საცდელი მინდვრების, სამეურნეო სკოლების და კურორტებისათვის; ეს მიწები მცხოვრებლებზე ვერ განაწილდება.

დარჩება 504—514 ათასი დესეტინა, მარა ჩვენი სტატისტიკური ცნობები არ ჩაითვლება სავსებით სწორ ცნობებათ; უნდა ვიგულისხმოთ, რომ ნამდვილათ გასანაწილებელი მეწები ამაზე ნიკლები იქნება, მარა რაც უნდა ცოტა ვიანგარიშოთ, 400 ათასი დესეტინა მამული მაინც დარჩება გასანაწილებლათ. მაშასადამე, დესეტინა მიწაზე აწევს ორთა შუა რიცხვით 500—625 მანეთი.

ვინაიდან გასანაწილებელ მიწებში არის ზოგი მეტად დაბალი ღირსების და აგრეთვე სოფლის საქონლის საძოვარი ადგილები, რომელთა ფასი საშუალოზე ნაკლები უნდა იქნას, ჩვენ ვანგარიშობთ



დესეტიანზე 400—1000 მანეთამდე. ეს არ იქნება, რასაკვირველია, ეხლანდელი ბაზრის ფასზე. ბაზრო ფასი რომ ავიღოთ ქუთაისის გუბერნიაში დესეტიანა 2000—7—8 ათას მანეთამდე ფასობს, ხოლო თფლისში კოტა ამაზე ნაკლები. ასე რომ ჩვენ მიერ ნაჩვენები ფასი მეტათ შეღავათიანია. ის დააბლოკებით უდრის ერთი წლის ღალას და ცხადია, არა შემთხვევაში ბაზრის ფასათ არ ჩაითვლება. სამინისტრო ფიქრობს, რომ ჩვენი გლახობა ადვილათ შესძლებს დღევანდელ პირობებში ზემო ნაჩვენებ საფასურის გამოღებას. მართალია, სოფლათ მოიპოვება ისეთი ელემენტებიც, რომელნიც ვერ შესძლებენ მთელი თანხის ერთბაშათ გამოღებას. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ შემთხვევებში სათანადო ორგანოებს უფლება უნდა ჰქონდეთ ნაწილ-ნაწილათ გადაახდევინონ გამოსაყიდი თანხა.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ხარჯები ისეთია, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია მათ შეფინანსი-სახებ უარი სთქვას, თუ ის შემოქმედებითი მუშაობაზე ხელს არ აიღებს.

ურჩი კითხვა იბადება: შეუძლია თუ არა საქართველოს რესპუბლიკის ხაზინას ჩამოდენიშვ მოსაზრება. ასეული მილიონის გაღება შემოქმედებითი მუშაობის გასაჩაღებლათ. სამწუხაროთ, ჩვენი ხაზინის მდგომარეობა ისეთია, რომ ამაზე ფიქრი ფუჭი იქნებოდა. სახელმწიფოს დღევანდელი ხარჯები უდრის ჩამოდენიშვ ასეულ მილიონს, შემოსავალი კი ათეულ მილიონობით განისაზღვრება. ჩვენ ჯერ კიდევ ფულის სისტემაც კი ვერ შეგვიქმნია. ვკმაყოფილდებით ფულის სურგატით—ბონების ბეჭვდით. ბონება რაგორც დროებათი ზომა—თავის დროზე საჭირო და მისაღები იყო, მარა რაგორც მუდმივი ფინანსიური სისტემა, ის ყოვლათ შეუწყნარებელია. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა, მით უფრო გაძნელდება ფინანსების მოწესრიგება და ეკონომიური ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაგდება. იბატდება და იხარჯება ხაზინის მიერ აუარებელი ბონები—უკან კი ერთი მეორეოცდაათედიც არ ბრუნდება. თუ წინეთ ამიერ-კავკასია წლიურნათ ათ მილიონამდე ფულის ნიშნებით კმაყოფილდებოდა, დღეს მისი დღიური მოთხოვნილება უდრის ამ თანხას. ამიტომ საბეჭვდავი მანქანა შეიქნა ერთად ერთი წყარო ჩვენი ფინანსიური კეთილდღეობის. ნამდვილათ მას კეთილდღეობა როდი მოაქვს. ის დაღუბვას გვიშაბდება, თუ დროზე არ შევჩერდით და ხალხში გაშვებული ფულის ერთბა ნაწილმა მაინც უკან ხაზინაშივე დენა არ დაიწყო.

წარმოუდგენელი სისწრაფით ეცემა ბონების კურსი და რასაც მეტს ვბეჭვდავთ, მით უფრო ძირს ეშვება მისი ფასები. დაბოლოს შესაძლებელია დადგეს ისეთი მდგომარეობა, როცა მისი რეალური ფასი მის დაბეჭვდაზე გაწეულ ხარჯებს გაუთანასწორდება და ამნაირათ იგი ბოლოს თითონვე უარყოფს თავის თავს. რევოლიუციებისა და ომის ხანამ ასეთი მაგალითები იცის.

მიწის საფასურით გაცემა ამ ბონების ნაწილს უკანვე მოაბრუნებს. მთავრობას საშუალება მიეცემა შეაპიროს მისი განუსაზღვრელი ბეჭვდა. ამით კურსი თუ არ აიწვეს, დაცემის პროცესი მაინც შეჩერდება და მთავრობას დრო და საშუალება მიეცემა ფულის სისტემის შექმნაზე იფიქროს. აქას მოითხოვს არა მარტო ხაზინის ინტერესი, არამედ აგრეთვე ინტერესი ყველა იმ პირთა, ვისაც ეს ბონები აქვს.

ვინ არის ბონების უმთავრესი პატრონი დღეს? ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ კერძოთ ამ ბონების და საერთოდ ფულის ნიშნების 70% მაინც, თუ მეტი არა, სოფლათ არის დაგროვილი. ეს არც გასაკვირელია, ჩვენ ქვეყანაში დღეს თითქმის არავითარი წარმოება არ არის, გარდა სასოფლო სამეურნეო წარმოებისა. საქონელი მზადდება უმთავრესათ სოფლის მეურნეობაში. სასოფლო სამეურნეო ნაწარმოები გამოდის ბაზარზე და დიდ ფასებში იყიდება. ფულიც იმათ მიაქთ, ვისაც ეს ნაწარმოები აქვს. მთელი მუშის ხელფასი, მოხელეთა ჯამაგირები და სხვა სოფელად მიღის გლახობის ჯიბეში. ამიტომ გლახს არასოდეს არ ჰქონია ფულის იმდენი ნიშნები, ჩამოდენიც დღეს აქვს. თუ ამ ფულის კურსი დაეცა, თუ მისი მყიდველობითი ძალა შემცირდა, ან მთლად გაბათილდა—ამით პირველ ყოვლისა სოფლის მცხოვრებნი წააგებენ და პირ-იქით, თუ სახელმწიფომ შესძლო მისი კურსის მომატება ან-უარეს შემთხვევაში—ამ კურსის დაცემა შეაჩერა, ამით იგივე სოფლის მცხოვრებნი მოიგებენ. ამიტომ ყოვლად შეუწყნარებელია ის აზრი, თითქო გლახისათვის უსათუოთ უმჯობესი და სასარგებლო იყოს მიწების უფასო დარიგება. ხაზინის ვაკოტრებით პირველათ და ყველაზე მეტათ გლახაკობა დაზარალდება. ის ერთ მშვივენიერ დღეს გაიგებს, რომ რაც შეაგროვა და დაზოგა—ყველაფერი წყალში ჩაუცვივდა, რომ შემოწახული ფულები ფარატინა ქალღდათ იქცა. ამიტომ ვინც გლახს ურჩევს მიწა უსასყიდლოთ მოსთხოვოს სახელმწიფოს, ის შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ამით ხელს უწყობს სახელმწიფოს ფინანსიურ ვაკოტრებას და გლახაკობის ვალატაკებას.

ამნაირათ ჩვენ დავინახეთ, რომ მიწების მცირე საფასურით გლახებისათვის გადაცემა მისაღებია პოლიტიკური, ეკონომიური და ფინანსიური მოსაზრებით. ის ყოველ მხრივ მიზან შეწონილი ზომაა. მათი უფასო დარიგება კი გარდა იმისა, რომ მიუღებელია თან შეუძლებელია არის. ისტორიამ ჯერ არ იცის მაგალითი მიწის კერძო საკუთრებათ უფასოთ გადაცემისა. საფრანგეთის რევოლიუციის დროს მიწები გაყიდეს საჯარო ვატრობათ. საეკლესიო და ემეგრანტ-მეზამეღეების მიწები სახელმწიფომ ჯერ გამოაცხადა თავას საკუთრებათ და მხოლოდ შემდეგ დაანაწილა ის კერძო მესაკუთრეთა შორის. მიწების უფასოთ შეიძლება წართმევა, დატაცება, მათი წესიერი განაწილება კი შეუძლებელია ყველა მიწა ხომ ერთგვარა ღირსებისა არ არის. ამიტომ მცხოვრებთა შორის გაიმართება საუკეთესო მიწებისათვის ბრძოლა. ყველა მოინდომებს ხელში ჩაიგდოს ის ნატრები, რომლებიც ნაიდაგის თვისებისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო მეტი სარგებლის მიმცემი იქნება. ანარქია და საშინელი შეხლამემოხლა ამის აუცილებელი შედეგი ვახდება. ბოლოს და ბოლოს მიწებს დაიტაცებენ სოფლის გავლენიანი პირნი, ეგრეთ წოდებული მაგარი გლახობა. ღარიბ-ღატაკი და უმიწა-წყალონი კი პირში ჩალა გამოვლებულნი დარჩებიან. სოფლათ ახლაც ჩივიან, რომ საუკეთესო ნატრები ხელში ჩაიგდეს მდიდარმა გლახებმაო. რალა იქნება მაშინ, როცა სახელმწიფო გამოაცხადებს მიწა უფასოა და წაიღეთო. ჩვენ არ გვეგულება ისეთი ძალა, რომელიც მცხოვრებთა შორის ბრძოლასა და შეხლამემოხლას ასეთ პირობებში თავიდან აგვაცილებდა. განადგურდებოდა აგრეთვე კულტურული მამულები. შეუძლებელი შეიქნებოდა ამ მამულებისათვის მიწის რაიმე ფონდის დატოვება მათ გასაუმჯობესებლათ

მიწის-უფასოდ დარიგება შეუძლებელია.



და გასაფართოებლად. გლახაკობა მას პირველად დაიტაცებდა და სახელმწიფოს, რომელიც უფასოდ გადაცემის პრინციპს დაადგებოდა, საბუთიც აღარ ექნებოდა ამ მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად. სულ სხვაა, როცა ჩამორთმეულ მიწებს სახელმწიფო უცქერის როგორც თავის, ანუ საერთო სახალხო საკუთრებას და შემდეგ მას უნაწილებს კერძო მესაკუთრეებს განსაზღვრული საფასურის გაღებით. მხოლოდ ეს საფასური არ უნდა იქნას დიდი, რომ მან არ მოშალოს გლეხის ნივთიერი მდგომარეობა. ჩვენ მიერ წამოყენებული ფასები მინიმალურია და დღევანდელ პირობებში ზოგიერთ გამონაკლისს გარდა, ადვილად ასატანი გლახობა მასისათვის.

დასკვნა. აი, ამ პრინციპებზე არის აგებული სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი. სახნავ-სათესი მიწები უნდა გადაეცეს გლეხობას კერძო საკუთრებათ. გადაეცეს მცირე საფასურით, რომ მისი შექმნა შესძლოს ღარიბმა გლეხობამაც. ხაზინის ინტერესებისათვის, რასაკვირებლად, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ეს მიწები საჯარო ვაჭრობით გაყიდულიყო. აქედან ჩვენ მივიღებდით მილიარდზე მეტ თანხას და ჩვენი ხაზინის მდგომარეობა ამ დროებით გაუმჯობესდებოდა. მარა სამინისტრო ამ ზომას უარყოფს ორი მთავარი მოსაზრებით: პირველია ის, რომ ამით ჩვენ ავცდებოდით აგრარულ რეფორმის მთავარ მიზანს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ შემამულეთა მიწები უმიწა-წყლო და მცირე მამულის მქონე გლეხობას გადაეცეს. საჯარო ვაჭრობით კი მიწებს უმთავრესად ხელში ჩაიგდებენ სოფლის მდიდრები და ისეთი ხალხი, რომელსაც სასოფლო მეურნეობასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, როგორც ამას საფრანგეთის რევოლიუციის დროს ჰქონდა ადგილი. ამას გლახობა დიდი უმეტესობა არ შეურაცხებოდა და პირდაპირ წინააღმდეგობას გაუწევდა მთავრობას. დღეს თითქმის მთელი ჩამორთმეულა მამულები გლახობა ფაქტიურ მფლობელობაშია. აღსანიშნავია ის, რომ ამ მამულების დიდი ნაწილი უკვე ღარიბი გლეხობის ხელშია. ამის ეხლა ჩამორთმევა და საჯარო ვაჭრობით მდიდრებისათვის მიყიდვა, სხვა რომ არა იყოს რა, პირდაპირ შეუძლებელია. ვისაც სურს დაუსრულებელი შეხლა-შემოხლა და სამოქალაქო ომი გააჩაღოს სოფლად, ამ ზომას უნდა მიემხროს.

ესეც რომ არ იყოს, ამით სახელმწიფო ისარგებლებდა მხოლოდ დროებით, ვინაიდან ამოდენა ფულის სოფლიდან ამოწურვა არ შეუწყობდა ხელს მის ნივთიერი კეთილ-დღეობის აღორძინებას. სოფლის მეურნე მოკლებული იქნებოდა მეურნეობის გაუმჯობესებასათვის საჭირო თავისუფალ თანხას. ამ გარემოებას კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა შეეცქეს ჩვენში. საქართველოში თავისუფალი მიწა ისე ცოტაა, რომ ის მთელი შოთხონილებს ერთ მეხუთედსაც კი ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია მთავრობის მთავარი საზრუნავი საგანი უნდა გახდეს. ხოლო ამისთვის საჭიროა ფულა, თავისუფალი თანხა. ჯაბე ცარაელი გლეხი ამას ვერ შესძლებს და მაშასადამე, ნაციონალური სიძიდურის შექმნა და დაგროვებაც ძლიერ შეფერხდება. უამისათ კი შეუძლებელია ხაზინას ჰქონდეს საიმედო რესურსები, რათა მისმა შემოსავალმა დაფაროს სახელმწიფოს ხარჯები. ცხადია, ასეთ პოლიტიკას დემოკრატიული რესპუბლიკას მთავრობა ვერ აწარმოებდა. პირიქით, ჩვენ გვინდა ჩვენი სოციალური და პოლიტიკური რეფორმით გზა გავუხსნათ საწარმოო ძალების განვითარებას. ფეოდალური მიწათ-მფლობელობის მოსპობა და სოფლის განთავისუფლება ბატონყმური ნაშთებისაგან ძლიერ დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ წინსვლას.

უდადესი დაბრკობება, რომელიც წინ ეღობებოდა საქართველოს სამეურნეო განვითარებას, უკვე ძლიერია. ჩვენ არა თუ სატყვით, არამედ საქმიან მოვშალებთ ძველი საადგილ-მამულო ურთიერთობა, აღმოცენებული ძველი ფეოდალური წყობილების ნადაგზე და რუსეთის თვითმპყრობელობის წყალობით დღემდე დაკულა ჩვენში. ის, ვინც გუშინ შეადგენდა საიმედო ბურჯს ყოველგვარი პოლიტიკური რეაქციის და ვინც მომავალშიაც გამოდგებოდა როგორც რესტავრაციის ძალა, აღარ არსებობს. მისი სოციალური და პოლიტიკური ძლიერება განადგურებულია. აი ამაშია ჩვენი აგრარული რეფორმის თავი და თავი მნიშვნელობა. ამ მიზანს ემსახურება აგრეთვე წარმოდგენილი კანონ-პროექტიც. ამ კანონ-პროექტის განხორციელებით საბოლოოდ გამოეცლება ყოველგვარი ნიადაგი შემამულეთა ბატონობას და რა გვარა პოლიტიკური სიტუაციაც უნდა შეიქმნას მომავალში, შეუძლებელი გახდება ამ ბატონობის მობრუნება. ისტორიამ და ჩვენი ხალხია რევოლუციონურმა შემოქმედებამ მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და პარლამენტი მიიღებს ხსენებულ კანონ-პროექტს და მით დაასრულებს მიწის საკითხის გადაჭრას.

ის, რაც ვერ მოვასწართ დღემდე, საქართო უნდა განვახორციელოთ ახლო მომავალში!

მიწათ-მოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა